9 მაისი

1941-1945 წლები

სსიპ - ზანის საჯარო სკოლა

- მეორე სამამულო ომის შესახებ ისტორიული ფაქტების მოკლე ანალიზით მოსწავლეების წინაშე როგორც კომპეტენტური პიროვნება, წარსდგა სსიპ-ზანის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ, ბატონი რომანი კვაშილავა.
- ისტორიის მასწავლებლებმა ისაუბრეს იმ 300 000 ქართველი უგზო-უკვლოდ დაკარგული გმირების უანგარო ღვაწლზე, რომელთა თავდადების შედეგსაც ჩვენ დღეს ვიმკით.
- ისე, როგორც საქართველოს სხვადასხვა ბევრი სოფლიდან, ჩვენი სოფლიდანაც წავიდნენ სამშობლოსათვის გულანთებული მოხალისეები, რომელთა უმრავლესობა, როგორც წესი, ვერ დაბრუნდა.
- ნათელი სანთელი და მარადი მათ ხსოვნას!..

არ მავიწყდება!

- ბევრს არ ეპიტნავება, შეიძლება მართალნიც არიან, მაგრამ ისტორიას ვერ გადავაკეთებთ, ცნობებს ვერ დავამახინჯებთ, გვინდა თუ არ გვინდა ფაქტი ფაქტად რჩება.
- ყველა თავის მოვალეობას ღირსეულად რომ ასრულებდეს, მხოლოდ ბუნებისგან, მიწისძვრისგან და საკუთარი ბავშვური სისულელის შედეგად დაზარალებულები გვეყოლებოდა!
- მე, როგორც ამ ომის მონაწილის შთამომავალი, მოვუწოდებ მომავალს ვესწრაფოთ, ვიყოთ ღირსეული შთამომავალი და მომავალს გზად და ხიდად გამოვადგეთ!
- ღმერთმა ნუ ქნას, იგივე განსაცდელი მოგვივლინოს იღბალმა, მაგრამ უფლის წყალობით ვალდებულნი ვართ წინაპართა მაგალითი ავიღოთ. „თუ გაუჭირდა სამშობლოს, კვლავ ცეცხლით დავიდაგებით ... ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით!“

ვინმეს შეიძლება გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ ჩემთვის...

დიდი ბოდიში, თუ შეგაწუხეთ, მოგიწყინენით სმენა, ანადა ხედვა, მაგრამ მარტინი ლუთერის - „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს! - მივიღე ჩემად.

რა დროც არის, ჩვეულებებიც იგივეა...

თუმცა, ილიას თქმისა არ იყოს:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“

სკოლის საქმისმწარმოებელი --- რიმა გაწერელია

მადლობა
ყურადღებისთვის!